საქმე N2/28296-17

11337550741936

ამონაწერი კრედიტორთა კრების ოქმიდან

17 დეკემბერი 2025 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი
სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

ი/მ ფარვანა იუსუბოვას კრედიტორთა კრება

მოსამართლე აქვეყნებს **ანდრანიკ მარტიროსიანის** მოთხოვნას **ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოში ფერდინანდ ლორთქიფანიძის განცხადება წარმოდგენილია 2017 წლის 19 დეკემბერს. განცხადებით ანდრანიკ მარტიროსიანმა მოითხოვა **ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარება, თუმცა აღნიშნულ განცხადებას არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულება თუ რის საფუძველზე ითხოვს **ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარებას განმცხადებელი. სასამართლომ კრედიტორთა კრებაზე განიხილა აღნიშნული განცხადება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მას კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები არ ქონდა წარმოდგენილი სავარაუდო კრედიტორს სასამართლომ 2018 წლის 05 ოქტომბერს გამართულ კრედიტორთა კრებაზე შესთავაზა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც აღნიშნული დავალიანების აღიარებისათვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. 2018 წლის 09 ოქტომბერს ანდრანიკ მარტიროსიანმა მომართა სასამართლოს განცხადებით და წარმოადგინა რიგი დოკუმენტები. სავარაუდო კრედიტორს კრედიტორთა მითითება ასაღიარებელი ვალდებულების ნაწილში, თუ რა თანხები იქნა დაანგარიშებული სავარაუდო კრედიტორს მითითებული არ აქვს.

2025 წლის 17 დეკემბერს გამართულ კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველის წარმომადგენელმა ლევან პარუნაშვილმა ანდრანიკ მარტიროსიანის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხვა არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება, რის საფუძველზეც მართებული და საფუძვლიანი იქნება მისი კრედიტორად აღიარება, ამიტომ მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფლიდეს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლე მოუსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კრედიტორთა მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის ანდრანიკ მარტიროსიანის მოთხოვნა უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-19, 21-ე, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ანდრანიკ მარტიროსიანის მოთხოვნა ი/მ ფარვანა იუსუბოვას გადახდისუუნარობის საქმეში კრედიტორად აღიარების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**